გიორგი ბარნაბიშვილი
ისტორიის საბაკალავრო პროგრამა, თსუ
giorgi.barnabishvili307@hum.tsu.ge

თეიმურაზ I-სა და გიორგი სააკაძის ირგვლივ ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული განსხვავებული მოსაზრებების შესახებ (მეფისა და მოურავის ურთიერთობის რამდენიმე მომენტის მიხედვით)

საკვანძო სიტყვები: თეიმურაზ I, გიორგი სააკაძე, წყაროები, ქართული ისტორიოგრაფია

Key Words: Teimuraz I, Giorgi Saakadze, Sources, Georgian Historiography

ქართული ერთიანი ფეოდალური მონარქიის დაშლის შემდეგ წარმოქმნილმა სამეფო-სამთავროებმა სხვადასხვა პოლიტიკური კურსი აირჩიეს. ზოგიერთი მათგანი ცდილობდა საკუთარი სამეფო-სამთავროს ინტერესების გატარებას, ზოგიც კი, ქართლის ცალკეული მეფეების სახით, ერთიანი ქართული მონარქიის ინტერესებიდან ამოდიოდა. მე-16 საუკუნის ქართლის სამეფოში მოღვაწეობდა ორი სახელოვანი მეფე, ლუარსაბ I (1527-1556) და სვიმონ I (1556-1569; 1578-1599), რომელთა თავდადებულმა მოქმედებებმა ქართლის სამეფოსთან ერთად, რიგ შემთხვევებში, სრულიად საქართველო იხსნა მტერთა ძალმომრეობისგან. სწორედ ამიტომ, მათი შეფასებისას ისტორიკოსები ერთი აზრის არ არიან, მაგრამ არსებობენ ისეთი პოლიტიკური ფიგურები, რომელთა მოღვაწეობა, ზოგჯერ წინააღმდეგობრივიც კი, არ იძლევა მათი ცალსახა შეფასების საშუალებას, რაც ისედაც არ წარმოადგენს ისტორიკოსის ჭეშმარიტ საქმიანობას, რადგან პიროვნება ფასდება, როგორც მისი სწორი, ისე არასწორი, თუ მოღალატეობრივი ნაბიჯის მიხედვით. მე-17 საუკუნის პირველი ნახევრისათვის ასეთ ფიგურებს, კახეთის, გარკვეული დროით ქართლ-კახეთის გაერთიანებული სამეფოს მეფე, თეიმურაზ I[1] და თბილისისა და დვალეთის მოურავი, სპარსეთის ჯარის გამორჩეული სარდალი გიორგი სააკაძე წარმოადგენდნენ. სტატიის მიზანი სწორედ მეფე თეიმურაზისა და მოურავის ურთიერთობის გარკვეული მომენტებისა და აქედან გამომდინარე, მათი პოლიტიკური პორტრეტების ირგვლივ ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული განსხვავებული მოსაზრებების განხილვა და შეფასებაა. აღსანიშნავია, რომ გიორგი სააკაძის ფენომენით ჯერ კიდევ ქართული ისტორიოგრაფიის ჩასახვის [2]პერიოდში მოღვაწე ისტორიკო-

[1] კახეთის მეფე 1606-1648, ქართლ-კახეთის მეფე 1625-1632.

[2] შესაძლოა ითქვას, რომ ქართული ისტორიოგრაფია სისტემატიზირებულად მე-19 საუკუნეში ჩაისახა, მაგრამ ეს არ აკნინებს ჯერ კიდევ მე-18 საუკუნეში ვახუშტი ბატო-

სები დაინტერესდნენ, მაგალითად, პლატონ იოსელიანი, რომლის კალამსაც ეკუთვნის პირველი სამეცნიერო მონოგრაფია მოურავის შესახებ. როგორც ჩანს, გიორგი სააკაძის მიმართ საზოგადოებაში მუდმივად არსებობდა ინტერესი, სწორედ ამან გამოიწვია სხვადასხვა პერიოდში მის შესახებ მრავალი სტატიისა თუ მონოგრაფიის გამოქვეყნება. მხედველობაში მაქვს გივი ჯამბურიას მიერ 1964 წელს გამოცემული მონოგრაფია, „გიორგი სააკაძე" და ასევე გურამ ყორანაშვილის მიერ 2017 წელს გამოცემული ნაშრომი „ავკარგიანობა გიორგი სააკაძისა". რაც შეეხება მეფე თეიმურაზს, მისი, როგორც პოლიტიკური ფიგურის შესახებ სამეცნიერო მონოგრაფია არ დაწერილა, რა თქმა უნდა, თუ მხედველობაში არ მივიღებ თამარ ტივაძის მიერ 1990 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომს, რომელშიც ავტორი მხოლოდ თეიმურაზ I-ის საგარეო პოლიტიკას განიხილავს და ასევე პალიტრა L-ის საისტორიო სერიაში, „ქართველი მეფეები", გამოცემულ ნაშრომს, რომელიც ელდარ მამისთვალაშვილის კალამს ეკუთვნის. მას, რა თქმა უნდა, აქვს სამეცნიერო ღირებულება, მაგრამ ის სამეცნიერო-პოპულარულ ნაშრომს წარმოადგენს.

ამ ორი, მე-16 საუკუნის პირველი მესამედის პოლიტიკური პროცესების წარმმართველი ფიგურის პორტრეტების განსაზღვრისას, ქართველი მკვლევრები, შესაძლოა, იჩენენ სუბიექტურობას და ერთი კონკრეტული პიროვნების მიმართ გამოხატავენ „სიმპათიებს", უმეტეს შემთხვევაში, გიორგი სააკაძის მიმართ. ეს ტენდენცია ქართულ ისტორიოგრაფიას მთელი თავისი ისტორიის განმავლობაში თან სდევს, რა თქმა უნდა, გამონაკლისი შემთხვევებით, მაგალითად, პლატონ იოსელიანი თუ გურამ ყორანაშვილი.

ვიდრე ისტორიოგრაფიაში არსებული მოსაზრებების შეფასებაზე გადავალ, უნდა აღინიშნოს, რომ ქართველ მკვლევრებს განსხვავებული მოსაზრებების გამოთქმის საშუალებას წყაროები აძლევენ. ვგულისხმობ ფაქტს, რომ წყაროთა სიმრავლის შედეგად, შეგვიძლია სხვადასხვა ფაქტის მეტად გადამოწმება. ამიტომაც საინტერესო იქნება კვლევის დაწყება სწორედ ხელთ არსებული წყაროებით. წყაროებში დაცული ინფორმაციის განხილვის შემდეგ წარმოდგენილი იქნება ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებული მოსაზრებები კონკრეტულ წყაროთა ინტერპრეტაციასთან მიმართებით. იგი დიაქრონიულ ჭრილში იქნება განხილული.

მეფე თეიმურაზისა და მოურავის მთელ პოლიტიკურ ურთიერთობას გასდევს წითელი ხაზები, მაგრამ სტატიაში განსახილველად შეირჩა ორი მათგანი: 1. სპარსულ ჯართან ერთად წამოსვლის შემდეგ, როდის უკავშირდება გიორგი სააკაძე მეფე თეიმურაზს? 2. ვის ეკუთვნოდა მარაბდის ბრძოლის ტაქტიკა და ვინ უნდა ყოფილიყო ქართველთა ლაშქრის მეთაური ბრძოლის ველზე?

გიორგი სააკაძის სპარსეთიდან წამოსვლისა და აჯანყების დაწყების შესახებ ორი ვერსია არსებობს: 1. სპარსეთის ჯარის სარდალმა აჯანყება ჯერ კიდევ სამშობლოსგან შორს, ისპაჰანში დაგეგმა; 2. მან აჯანყება მხოლოდ მას შემდეგ გაბედა, რაც შაჰ აბას I-ის (1587-1629) მიერ გამოგზავნილი წერილი ჩაუვარდა ხელთ, რომელშიც შაჰი, ყარჩიღა ხანს ქართველების ნეიტრალიზაციას ავა-

ნიშვილისა (1696-1757) და სხვათა მიერ ქართული ისტორიოგრაფიის წარმოქმნისათვის გაწეულ გარჯას.

ლებდა. ეს კონკრეტული საკითხი არ წარმოადგენს კვლევის მთავარ მიმართულებას, ამიტომაც ამ საკითხის გარშემო სტატიის მიმდინარეობისას მცირედ გავამახვილებ ყურადღებას, მაგრამ პირველი საკითხის, თუ როდის დაუკავშირდა მოურავი მეფეს, განხილვის დროს გასაგები იქნება ჩემი დამოკიდებულება, თუ რომელ ვერსიას ვემხრობი.

I საკითხი: როდის უკავშირდება გიორგი სააკაძე თეიმურაზ I-ს

მეფე თეიმურაზსა და გიორგი სააკაძეს შორის ურთიერთობისა და სპარსელთა წინააღმდეგ ერთობლივი მოქმედებების დაწყების შესახებ არსებული ინფორმაცია შესაძლებელია ორ ნაწილად დაიყოს: 1. ქართული წყაროები, მაგალითად, „არჩილიანი", რომელშიც არჩილ მეფე წერს, რომ მოურავი მას შემდეგ დაუკავშირდა მეფეს, როდესაც მარტყოფის ბრძოლაში დაამარცხა სპარსელები (არჩილ მეორე 1937: 70-71), 2. უცხოური წყაროები, კერძოდ, ბართოლომეო ფეროსა და არქანჯელო ლამბერტის ცნობები. იგივე ფერო წერს, რომ მას შემდეგ, რაც სპარსელთა წინააღმდეგ მოიწვია გიორგი სააკაძემ თეიმურაზ მეფე, მოურავის სანდოობის დასადასტურებლად თეიმურაზ I-მა მას სამი სპარსელი სარდლის მოკვლა დაავალა. ასეც მოხდა, მოურავმა სიცოცხლეს გამოასალმა სპარსი სარდლები, (მათ შორის, ყარჩიხა ხანი (გ.ბ)). ისევ და ისევ ფეროს ცნობით, ამ დროს თეიმურაზ მეფე სპარსელთა ბანაკის სიახლოვეს იყო, როდესაც ჩოჩქოლისა და არეულობის ხმა შემოესმა[3] შევარდა ბანაკში და ფინალური ბრძოლა უკვე ერთად გაუმართავთ მეფესა და მოურავს (ტაბაღუა 1986: 88). არქანჯელო ლამბერტი გადმოგვცემს, რომ თეიმურაზი ლაშქრით სპარსელთა ბანაკში მივიდა, ამ მოქმედებამ სპარსელები დააბნია და ლაშქრისთვის რაიმე დავალების მიცემამდე, აბჯრის ჩასაცმელად დახრილი ყარჩიღა ხანი გიორგი სააკაძემ გამოასალმა სიცოცხლეს (ტაბაღუა 1986: 88-89) ამ ორ ცნობას თუ დავუკავშირებთ ერთმანეთს, შესაძლოა, მივიდეთ დასკვნამდე, რომ მეფე და მოურავი ერთმანეთს ჯერ კიდევ მარტყოფის ბრძოლამდე შეუთანხმდნენ საერთო მოქმედებების შესახებ, რაც, შესაძლოა, მიუთითებდეს, რომ მოურავი მეფე თეიმურაზს ჯერ კიდევ სპარსეთში ყოფნის დროს დაუკავშირდა და შეუთანხმდა აჯანყების შესახებ.[4] ეს ცნობები შესაძლოა ითქვას, რომ თანხვედრაში მოდის მუსტაფა ნაიმას ცნობასთან, რომელიც ამბობს, რომ „ეს უკანასკნელი (გიორგი სააკაძე (გ.ბ.) თეიმურაზ ხანს საიდუმლოდ დაუკავშირდა და შეუთანხმდა: როდესაც ყიზილბაშთა ლაშქარი მიაღწევს საქართველოში შემავალ ვიწრო ხეობას, მზად იყავით და განსაზღვრულ დროს თავს დავესხათო, თვი-

[3] ეს კი იყო სააკაძის მიერ დავალების შესრულების ნიშანი.

[4] თანაც არსებობს კიდევ ერთი საბუთი, რომელიც მიუთითებს, რომ მარტყოფის ბრძოლაში გამარჯვებული თეიმურაზი გიორგი სააკაძესთან ერთად კახეთში წავიდა (ტაბაღუა 1986: 89). ამ საბუთის არსებობა შესაძლოა, კიდევ ერთი დასტური იყოს იმისა, რომ მეფე და მოურავი ერთმანეთს მარტყოფის ბრძოლამდე დაუკავშირდნენ, რადგან თუკი მოსაზრებას დავეთანხმები, რომლის მიხედვით მარტყოფის ბრძოლის დროს მეფე თეიმურაზი დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, გონიოს ციხეში იმყოფებოდა (ჯამბურია 1964: 128-129), იგი ფიზიკურად ვერ შეძლებდა ბრძოლიდან მცირე დროში მოურავთან ერთად კახეთში წასვლას, ანდა, როგორც ვახუშტი მიუთითებს, კახეთის დაპყრობას.

თონ კი თავისი ხელქვეითებით უკან ჩამორჩა“ (მუსტაფა ნაიმა 1979: 345). ნაიმა მიიჩნევს, რომ მოურავმა აჯანყება ჯერ კიდევ სპარსეთში, შაჰის კარზე ყოფნის დროს დაგეგმა. ამის საპირისპიროდ არსებობს ვახუშტი ბატონიშვილის მოსაზრება: „მოურავმან მონადირემან ლოჭინის ჴევსა შინა იხილა შიკრიკი ერთი მომავალი. შეიპყრა იგი და იხილა წიგნი, რომელსა შინა ეწერა ყარჩიხანისა თანა შაჰაბაზის მიერ: «რათა მოსწყჳდნო კახნი და აჰყარო ქართლი; მოკუეთე თავი მოურავსაცა და წარმოგზავნე წინაშე ჩემსა“. განცვფრებულმან ამისთჳს მოურავმან მოჰკლა შიკრიკი და დაფლა მუნავე და მოვიდა ზურაბ ერისთავისა თანა ფარულად“ (ქართლის ცხოვრება 1973: 429-30). მაშასადამე, ვახუშტი ბატონიშვილის აზრით, მოურავმა აჯანყება მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც შაჰ აბასის წერილი ნახა ყარჩიღა ხანისადმი გამოგზავნილი. შემდეგ კი აგრძელებს თხრობას, რომ “ხოლო ამათ მოუწოდეს ბატონს თეიმურაზს და დაიპყრა მან კახეთი...“ (ქართლის ცხოვრება 1973: 429-30). ანუ ვახუშტი ბაგრატიონის მოსაზრებით მარტყოფის ბრძოლის შემდეგ დაუკავშირდა მოურავი სხვა აჯანყებულებთან ერთად მეფე თეიმურაზს.[5]

მთავარი საკითხია ის, თუ როგორ აფასებს ამ კონკრეტულ მონაკვეთს ქართული ისტორიოგრაფია. პირველი ავტორი, რომელმაც ამ პასაჟს მნიშვნელობა მიანიჭა, გახლდათ პლატონ იოსელიანი, რომელიც, როგორც აღინიშნა, პირველი ქართველი მკვლევარია, რომელმაც მონოგრაფია მიუძღვნა მოურავს. მან ეს ნაშრომი რუსულ ენაზე შექმნა. მოსაზრება, რომ მეფე თეიმურაზი და გიორგი სააკაძე ერთმანეთს მარტყოფის ბრძოლამდე დაუკავშირდნენ, პირველად სწორედ პლატონ იოსელიანთან ფიქსირდება (იოსელიანი 1973: 38). მაგრამ აქვე ერთი რამ არის გასათვალისწინებელი, მეცნიერი არ უთითებს წყაროს, თუ საიდან გამოაქვს ეს ინფორმაცია. XIX საუკუნის კიდევ ერთმა ისტორიკოსმა, თედო ჟორდანიამ, ქრონიკები II-ში დაწერა, რომ თეიმურაზი მას შემდეგ დასვეს ტახტზე, რაც სპარსელებს წაართვა გიორგი სააკაძემ ქართლი, კახეთი და სამცხე (ჟორდანია 1897: 445). თედო ჟორდანია, როგორც ჩანს, გვერდს უვლის მეფისა და მოურავის დაკავშირების მომენტს და მშრალ ინფორმაციას გვაძლევს თეიმურაზის მეფედ გახდომის შესახებ[6]. საინტერესო იქნებოდა უდიდესი ქართველი ისტორიკოსის, ივანე ჯავახიშვილის მოსაზრება მეფისა და გიორგი სააკაძის ურთიერთობის შესახებ, მაგრამ მას თითქმის არაფერი არ აქვს დაწერილი მოურავზე და რჩება შთაბეჭდილება, რომ იგი გამიზნულად უვლის გვერდს გიორგი სააკაძის ფენომენის შესახებ მოსაზრების გამოთქმას. ამ გვერდის ავლის ორი მიზეზი არსებობს: 1. გიორგი სააკაძის ფენომენის დამუშავება ვერ მოახერხა ჯავახიშვილმა, რადგან XX საუკუნის 20-იან წლებში თავი დაანება ქართველი ერის ისტორიაზე მუშაობას. 2. იგი გამიზნულად ერიდებო-

[5] არსებობს კიდევ ერთი წყარო, კერძოდ, იოსებ თფილელის (სააკაძის) „დიდმოურავიანი“, რომელშიც იგი მიუთითებს, რომ გიორგი სააკაძემ ჯერ კიდევ სპარსეთიდან მომავალ გზაზე გაანდო ზურაბ ერისთავს, რომ იგი არ დაუშვებდა ქართული მიწების აოხრებას და პირველი გადავიდოდა სპარსთა წინააღმდეგ შეტევაზე. ამის შემდეგ კი მოაყოლებს ლოჭინის ხევში შაჰ აბასის მალემსრბოლის დაჭერისა და ყარჩიღა ხანისადმი მიწერილი წერილის აღმოჩენის ამბავს, რომელშიც შაჰი სპარს სარდალს მოურავისა და სხვა ქართველების მოკვლას ავალებს (ტფილელი 1851: 33-34) .

[6] მაგრამ მის დაწერილში აშკარად იგრძნობა მოურავის მიმართ მკაფიო სიმპათია.

და მოურავის შესახებ რაიმეს დაწერას, რადგან მავანნი მის შესაძლო უარყოფით დამოკიდებულებას დაუკავშირებდნენ სააკაძისა და ივანე ჯავახიშვილის წინაპრის დაპირისპირებას. დიდმა მეცნიერმა შესაძლო იარლიყის მიკერებას გაჩუმება არჩია. ასევე საინტერესოა ისეთ დიდ მეცნიერთა მოსაზრებები, როგორებიც იყვნენ, სიმონ ჯანაშია და ნიკო ბერძენიშვილი, რომელთა რედაქციით გამოსულ საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოში შავით თეთრზე წერია, რომ გიორგი სააკაძე მხოლოდ მას შემდეგ უკავშირდება მეფე თეიმურაზს, როდესაც უკვე დამარცხებული ჰყავს მარტყოფის ბრძოლაში სპარსელთა ჯარი (ბერძენიშვილი, ჯავახიშვილი... 1948: 341-342). პლატონ იოსელიანის შემდეგ პირველი სრულყოფილი მონოგრაფია გიორგი სააკაძის შესახებ გივი ჯამბურიას ეკუთვნის. (ჯამბურია 1964) მეცნიერი ავითარებს მოსაზრებას, რომ გიორგი სააკაძე მას შემდეგ უკავშირდება მეფეს, როდესაც იგი სპარსელებს დაამარცხებს, აქვე ის ამატებს, რომ ამ დროისთვის თეიმურაზ პირველი გონიოს ციხეში იყო და რუსეთში წასვლისთვის ემზადებოდა (ჯამბურია 1964: 128-129).

მნიშვნელოვნად მიმაჩნია, მეტად კონკრეტულად აღინიშნოს თუ რას ფიქრობდა ნიკო ბერძენიშვილი გიორგი სააკაძის შესახებ, რამეთუ გივი ჯამბურიას მონოგრაფიის „გიორგი სააკაძე“ რედაქტორი ნიკო ბერძენიშვილი გახლდათ, რომელმაც საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოში ორი ათწლეულით ადრე ანალოგიური აზრი გაატარა, მაგრამ აქვე აღსანიშნავია კიდევ ერთი ფაქტი, რომელსაც თავად გივი ჯამბურია იხსენებდა თავის სტუდენტებთან, მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე წლის წინ ნიკო ბერძენიშვილმა ზუსტად იგივე აზრი გაატარა თეიმურაზ მეფისა და მოურავის ურთიერთობის შესახებ, ეუბნებოდა, რომ ეჩვენებოდა თითქოს გიორგი სააკაძე განდიდებული იყო და თეიმურაზი კი დამცრობილი, მაგრამ იქვე განუმარტავდა, რომ მისი არჩევანი იყო, თუ რას დაწერდა.[7] რა თქმა უნდა, დაწერილ წყაროს სჭირდება გადამოწმება და მით უმეტეს ზეპირ წყაროს, როდესაც სხვა ადამიანის მონათხრობიდან რაიმე შეიძლება უბრალოდ დაგავიწყდეს. ამ შემთხვევაში არსებობს კიდევ ერთი ზეპირი წყარო, რომელიც ადასტურებს ნიკო ბერძენიშვილის უარყოფით დამოკიდებულებას გიორგი სააკაძის პიროვნების მიმართ, კერძოდ, მხედველობაში მაქვს, გურამ ყორანაშვილის წიგნში არსებული ოთარ ჯაფარიძის მოგონება, რომელშიც ნათქვამია, რომ როდესაც ის და მარიამ ლორთქიფანიძე XX საუკუნის 40-იან წლებში უსმენდნენ საქართველოს ისტორიის კურსს, რომელსაც ბატონი ნიკო ბერძენიშვილი კითხულობდა, ახსოვს, თუ როგორ მოიხსენიებდა რენეგატად იგი გიორგი სააკაძეს (ყორანაშვილი 2017: 35).[8] მაშ რითი აიხსნება ნიკო ბერძენიშვილის ორმაგი სტანდარტი? ერთი მხრივ, სახელმძღვანელოში გიორგი სააკაძის პოლიტიკური ფიგურის გაზვიადება და მეორე მხრივ, სტუდენტებთან საწინააღმდეგო აზრის გატარება. ამის მიზეზს კი საბჭოთა კავშირის ბელადთან, იოსებ სტალინთან და მის პოლიტიკურ კუ-

[7] ზეპირი წყარო – ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ-ს ასისტენტ-პროფესორი, ალექსანდრე ბოშიშვილი.

[8] ისტორიკოსი იკვლევს წერილობით წყაროებს, მაგრამ წარმოდგენილი ორი ზეპირი წყარო, შესაძლოა, რიგ შემთხვევებში უფრო ნათელს ჰფენდეს არსებულ სიტუციას.

რსთან მივყავართ. იგი ცდილობდა დაბალი ფენიდან წამოსულად და აღზევებულად წარმოეჩინა გიორგი სააკაძე, რათა დაბალი ფენების წარმომადგენლები გაეიდეალებინათ.[9] სწორედ ამიტომ გამოიყენა უდიდეს პროპაგანდისტულ ნაყოფად მიხეილ ჭიაურელის არაჩვეულებრივი კინემატოგრაფიული შედევრი „გიორგი სააკაძე“, ფილმი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის დროს გადაიღეს, 1942-43 წლებში, როდესაც მოკავშირეებს და თუნდაც განცალკევებით საბჭოთა კავშირს, ომის ინიციატივა ხელში აღებული არ ჰქონდა. ამ ფილმის გადაღებისას გამოყენებულია ათობით ათასი ჯარისკაცი, ვგონებ, ეს ფაქტი კიდევ ერთხელ მიუთითებს, თუ როგორ ცდილობდა საბჭოთა ხელისუფლება, რომ გიორგი სააკაძის ფენომენი პროპაგანდისტულად გამოეყენებინა.

განსხვავებული მოსაზრება არ არის დაფიქსირებული XX საუკუნის 70-იან წლებში გამოცემულ საქართველოს ისტორიის ნარკვევებში, კერძოდ, IV ტომში, რადგან XVI საუკუნის I ნახევარზე რამდენიმე წლის წინათ გიორგი სააკაძეზე მონოგრაფიის ავტორმა გივი ჯამბურიამ იმუშავა (ჯამბურია 1973: 280). ასევე საბჭოთა პერიოდში გამოიცა კიდევ რამდენიმე მონოგრაფია გიორგი სააკაძის შესახებ, კერძოდ, მხედველობაში მაქვს ლევან სანიკიძისა და ჯანსუღ ღვინჯილიას ნაშრომები (სანიკიძე 1988; ღვინჯილია 1989). ამ ნაშრომებს როსტომ ჩხეიძემ ედუარდ შევარდნაძის მიერ შეკვეთილი პროპაგანდისტული მონოგრაფიები უწოდა (ჩხეიძე 2012: 227-231). საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ ორივე ნაშრომის სტილი ძალზე ცდება სამეცნიერო სახეს და წმინდა წყლის მხატვრულ რეალობაში გადადის, ამიტომ მათ რაიმე სამეცნიერო ღირებულება ძნელია, მოეძებნოს.

1990 წელს გამოვიდა გიორგი მელიქიშვილის ნაშრომი, „საქართველოს ისტორია“, საკითხავი წიგნი, რომელიც ბერძენიშვილის, ჯავახიშვილისა და ჯანაშიას თანაავტორობით დაწერილი სახელმძღვანელოს მიხედვით არის შედგენილი, ამიტომ განსხვავებული მოსაზრება არ არის გამოთქმული (მელიქიშვილი 1990: 215). რაც შეეხება თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიას, უნდა აღინიშნოს, რომ 2000-იან წლებსა თუ 2019 წელს გამოსული წიგნებში, „საქართველოს ისტორია (ოთხტომეული)“ და „თეიმურაზ I“ წყაროთა გამრავალფეროვნების მიუხედავად, არ არის გადასინჯული მანამდე არსებული მოსაზრებები.

როგორც აღინიშნა, ქართულ ისტორიოგრაფიაში აზრი იმის შესახებ, რომ თეიმურაზ მეფე აჯანყებაში მარტყოფის ბრძოლის შემდეგ ჩაება, არჩილ მეორის ნაშრომიდან მომდინარეობს. ისტორიკოსი ყველა ხელთარსებულ წყაროს კრიტიკულად უნდა მიუდგეს, მით უმეტეს, თუ კონკრეტულ პიროვნებაზე წყარო მასთან დაპირისპირებული ოჯახის წარმომადგენლის მიერ იქმნება. თითქოს არჩილ II ცდილობს, რომ დადებითად წარმოაჩინოს თეიმურაზ მეფე, მაგრამ არა როგორც პოლიტიკოსი, არამედ როგორც მეფე-პოეტი, მაგრამ მას შემდეგ, რაც თხრობაში გიორგი სააკაძის ფიგურა ჩნდება, თეიმურაზი უკანა პლანზე გადაგყავს, რაც მის სუბიექტურ დამოკიდებულებაზე უნდა მიანიშნებდეს. ამის კიდევ ერთი ნათელი დადასტურებაა მის მიერ იოსებ თბილელისთვის, იგივე

[9] არსებობს მოსაზრება, რომ იგი საკუთარ თავს გიორგი სააკაძეს ადარებდა.

სააკაძისთვის, მოურავის ახლო ნათესავისთვის, მიცემული შეკვეთა – დაეწერა გიორგი სააკაძის განსადიდებელი პოემა, რომელიც შეიქმნა კიდეც და სახელად „დიდმოურავიანი“ დაერქვა. იგი XIX საუკუნეში პლატონ იოსელიანის რედაქციით გამოვიდა, ხოლო XX საუკუნეში გიორგი ლეონიძისა (ტფილელი 1851; ტფილელი 1939).

მტკიცება იმისა, თუ რატომ უნდა მივუდგეთ „არჩილიანს“ უფრო კრიტიკულად, როგორც აღინიშნა, არის არჩილ და თეიმურაზ მეფეების ოჯახების დაპირისპირება, კერძოდ, არჩილ II იყო ბაგრატიონთა მუხრანბატონების შტოს წარმომადგენელი. იგი იყო ვახტანგ V შაჰნავაზის ვაჟი და იმერეთის არაერთგზის მეფედყოფილი. არჩილი ასევე გახლდათ ძმა ბაგრატიონისა, რომელიც კახეთის შტოს ბაგრატიონებს ეცილებოდა ტახტზე, კერძოდ, ერეკლე I-ს, თეიმურაზ პირველის შვილიშვილს. ძმას კი იგი აქტიურად უჭერდა მხარს. ამიტომ მეფე არჩილი, შესაძლოა, მიზანმიმართულად, ანდა არამიზანმიმართულად[10] ცდილობდა თეიმურაზ მეფის პოლიტიკური პორტრეტის დამცრობას, არა უშუალოდ მისი გაკრიტიკებით, არამედ მასთან ასოცირებული სხვა პიროვნების, ამ შემთხვევაში გიორგი სააკაძის, პოლიტიკური სახის გაზვიადებითა და განდიდებით. ამიტომ, ალბათ, არ უნდა გაჰყვეს ამ წყაროს ქართული ისტორია თვალახვეული, არამედ უნდა შეუდაროს სხვა, მაგალითად, უცხოენოვან წყაროებს, რომელთა სააშკარაოზე გამოტანა დიდი მეცნიერის, ილია ტაბაღუას, სახელს უკავშირდება. მისი ნაშრომი „საქართველო ევროპის არქივებსა და წიგნსაცავებში“ სამ ტომად არის გამოცემული 1980-იან წლებში, ეს ნაშრომები ნამდვილად ბევრი მნიშვნელოვანი ცნობით ამდიდრებს საქართველოს ისტორიას. თუნდაც ზემოთნახსენები ფეროსა თუ ლამბერტის ცნობები. ბოლოს ხსენებული ნაშრომის გამოსვლიდან დაახლოებით 40 წელი გავიდა, მიუხედავად ამისა, ჩემს ხელთ არსებულ არც ერთ ნაშრომში, რომელიც 1986 წლის მერე დაიწერა, არ არის ნახსენები არათუ აქ გამოყენებული, არამედ ახალი წყაროები, რომლებიც, როგორც აღინიშნა, ერთი ორად ამდიდრებს საქართველოს ისტორიას.

საკითხი II: ვის ეკუთვნის მარაბდის ბრძოლის ტაქტიკა და ვინ უნდა ყოფილიყო ქართველთა ლაშქრის სარდალი

ამ შემთხვევაშიც წყაროები შესაძლოა, ორად დაიყოს: 1. არჩილ მეფის „არჩილიანი“, რომელშიც გადმოცემულია, რომ ტაქტიკა, რომლის წყალობით ქართული ჯარი დამარცხდა, თეიმურაზ პირველს ეკუთვნოდა (არჩილ მეორე 1937: 71-73); 2. ფარსადან გორგიჯანიძე, რომელიც მიუთითებს, რომ ტაქტიკა, რომლის წყალობითაც სპარსელებმა იმარჯვეს გიორგი სააკაძეს ეკუთვნოდა (გორგიჯანიძე 2022: 297).

პირველი ტაქტიკა, რომლის განხორციელების შემდეგ ქართველები დამარცხდნენ, ანუ ის, რომელსაც „არჩილიანი“ თეიმურაზ მეფეს მიაწერს, ხოლო

[10] მას, შესაძლოა, არ სურდა თავისი სიმამრის (მისი მეუღლის ქეთევანის მამა სწორედ თეიმურაზ პირველი იყო), პოლიტიკური ფიგურის დაკნინება, მაგრამ საბოლოო ჯამში ასე გამოვიდა.

ფარსადან გორგიჯანიძე გიორგი სააკაძეს, გახლდათ შემდეგი: ქართველებს არ უნდა დაეცადათ მანამ, სანამ მტერი თავს დაესხმებოდა და მარაბდის ველზე უნდა გაემართათ ფინალური ბრძოლა.

რაც შეეხება ტაქტიკას, რომელსაც „არჩილიანი" გიორგი სააკაძეს მიაწერს, ხოლო გორგიჯანიძე თეიმურაზს, ქართულ ჯარს უნდა მოეცადა მანამდე, სანამ მტერი არ გადმოვიდოდა შეტევაზე, რადგანაც ქართული ჯარი კოჯორ-ტაბახ-მელასთან იყო დისლოცირებული, სპარსთა სარდალს მოუწევდა, რომ ჯარი ამ ვიწრო ხეობებისკენ დაეძრა, სადაც თავის უპირატესობას, ანუ რაოდენობას, ვერ გამოიყენებდა. რატომ მაინც კოჯორ-ტაბახმელა? შეგახსენებთ, რომ ამ დროს თბილისი სპარსთა ხელშია და მეფის რეზიდენცია კოჯრის ციხეა. აღ-სანიშნავია ფარსადან გორგიჯანიძის კიდევ ერთი ცნობა, თუ რატომ სურდა გიორგი სააკაძეს თავდასხმაზე გადასვლა. იგი შიშობდა, რომ საბარათიანოს ლაშქარი წავიდოდა, თუკი ბრძოლას დაუყოვნებლივ არ დაიწყებდნენ, რადგან სპარსთა ჯარი ანადგურებდა მათ მიწებს (გორგიჯანიძე 2022: 297).

ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმული მოსაზრებები წინამდებარე საკითხის შესახებ

პლატონ იოსელიანისა და თედო ჟორდანიას ნაშრომებში არაფერია ნა-თქვამი, თუ რა საბრძოლო ტაქტიკები განიხილებოდა მეფისა და ფეოდალთა საბჭოზე (იოსელიანი 1973; ჟორდანია 1897). რაც შეეხება ბერძენიშვილის, ჯავა-ხიშვილისა და ჯანაშიას რედაქციით გამოსულ სახელმძღვანელოს, ნაშრომში არ არის გამოთქმული მოსაზრება იმის შესახებ, თუ რა ტაქტიკები განიხილე-ბოდა საბჭოზე, ისინი გამოთქვამენ მოსაზრებას, თუ სად გაიმართებოდა ბრძო-ლა. ეს გადაწყვიტა ბარათაშვილმა, რადგან სწორედ საბარათიანოს ტერიტო-რიაზე იყო სპარსთა ლაშქარი და ანადგურებდა კიდევაც მას. სწორედ ამიტომ მოითხოვდა ბარათაშვილი სასწრაფოდ ბრძოლის დაწყებას, ანდა წასვლით იმუქრებოდა (ბერძენიშვილი, ჯავახიშვილი, ჯანაშია 1948: 342). (რაც ავტომატუ-რად მის სპარსთა მხარეს გადასვლის ტოლფასი იქნებოდა. გ.ბ)

პირველად ქართულ ისტორიოგრაფიაში თათბირზე ორი ტაქტიკის განხილ-ვისა და სხვადასხვა ტაქტიკის სხვადასხვა ჯგუფთან მიკუთვნების ავტორი გივი ჯამბურიაა. იგი თავის მონოგრაფიაშიც და ნარკვევებშიც ერთსა და იმავე აზრს ავითარებს, რომ მარაბდის ველზე შებრძოლების ტაქტიკა მეფე თეიმურაზს ეკუთვნოდა, ხოლო ლოდინისა და ვიწროებში შებმის – გიორგი სააკაძეს (ჯა-მბურია 1964: 135, ჯამბურია 1973: 283). ავტორი აქვე დასძენს, რომ ბარათაშვი-ლი ყველაზე მეტად მოითხოვდა მარაბდის ველზე შებმას, თუ არადა წასვლით იმუქრებოდა. (ჯამბურია 1964: 135) გივი ჯამბურიას მიერ გამოცემული ნაშრომის შემდეგ შესაძლოა ითქვას, რომ ქართული ისტორიოგრაფია ორად გაიყო, ნაწი-ლი მისდევდნენ ბერძენიშვილისა და ჯანაშიას გზას, რომლებიც მეტად ნეიტ-რალურები/მიუკერძოებლები იყვნენ ამ კონკრეტულ შემთხვევაში და მარაბ-დის ბრძოლაში წაგების მთავარ პრობლემას არა თეიმურაზ მეფეში, არამედ ბარათაშვილების ვიწრო თავადურ ინტერესებში ხედავდნენ, რის გამოც, უკე-

თესი საბრძოლო ტაქტიკის განხორციელება არ გახდა შესაძლებელი. ამ გზას გაჰყვა, მაგალითად, გიორგი მელიქიშვილი (მელიქიშვილი 1990: 216-217). ხოლო სხვა ნაშრომებში, თეიმურაზ I ყოველგვარი განხილვის გარეშე დადანაშაულებული და გასამართლებულია, როგორც ომის წამგები (სანიკიძე 1988: 176). იგივეა გადმოცემული ჯანსუღ ღვინჯილიას ნაშრომშიც (ღვინჯილია 1989).

1998 წელს გამოცემულ ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევების მეორე ნაწილსა და გურამ ყორანაშვილის ნაშრომში გამეორებულია ბერძენიშვილი-ჯანაშიას მოსაზრება. გურამ ყორანაშვილი თავის მონოგრაფიაში პირდაპირ ციტატით იმოწმებს ნიკო ბერძენიშვილისა და სიმონ ჯანაშიას დაწერილს (მეტრეველი 1998: 160; ყორანაშვილი 2017: 108-109).

რაც შეეხება 2019 წელს გამოსულ ნაშრომს, „თეიმურაზ I", მასში განვითარებულია აზრი, რომლითაც მეფეს ბრალად ედება ბრძოლის წაგება (მამისთვალაშვილი 2019).

ნიკო ბერძენიშვილისა და სიმონ ჯანაშიას მოსაზრება ამ კონკრეტულ შემთხვევაში მეტად ნეიტრალურია. დიდი კამათი შეიძლება გამოიწვიოს იმან, თუ ვის ეკუთვნოდა ესა თუ ის ტაქტიკა, (სხვადასხვა წყაროს მიხედვით) მაგრამ აღსანიშნავია, რომ ორივე წყარო ძირითად დამნაშავედ მოღალატე ბარათაშვილს წარმოაჩენს, ამიტომ ნახსენები მეცნიერები და მათი აზრის გამტარებელი ავტორები, რიგ შემთხვევებში, ქართული ისტორიოგრაფიის ნეიტრალური დამოკიდებულების მაჩვენებელია.

რაც შეეხება ქართულ ისტორიოგრაფიაში არსებულ მოსაზრებებს, თუ ვინ უნდა ყოფილიყო ლაშქრის მეთაური მარაბდის ბრძოლისას, ქართველ ისტორიკოსთა უმრავლესობა არანაირ პრეტენზიას არ გამოთქვამს ამ საკითხთან დაკავშირებით, მაგალითად, პლატონ იოსელიანი, თედო ჟორდანია, ნიკო ბერძენიშვილი, სიმონ ჯანაშია, გიორგი მელიქიშვილი, გურამ ყორანაშვილი თუ ელდარ მამისთვალაშვილი. ავტორი მოსაზრებისა, რომ სარდალი გიორგი სააკაძე უნდა ყოფილიყო, გივი ჯამბურიაა. მასვე ეთანხმებიან სანიკიძე, ღვინჯილია და ქართული დიპლომატიის ისტორიის ნარკვევების ავტორები (ჯამბურია 1964: 135-36).

ძნელია, არ დაეთანხმო იმ მეცნიერებს, რომლებიც საკუთარი დუმილით ამტკიცებენ, რომ ვერაფერ უცნაურს ვერ ხედავენ მეფის მიერ საკუთარი ლაშქრის სარდლობაში, თუნდაც მაშინ, როდესაც შენი ერთ-ერთი ფეოდალი ისეთი პიროვნებაა, როგორიც გიორგი სააკაძეა.[11]

რაც შეეხება ჩემს მოსაზრებას, მივიჩნევ, რომ გიორგი სააკაძის იქ ყოფნის მიუხედავად, ქართველთა ლაშქრის სარდალი უნდა ყოფილიყო მეფე, რადგან სწორედ მეფეა მთავარსარდალი და თვითმპყრობელი და ამის გამო ის არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს დადანაშაულებული. თუ რატომ არ უნდა ყოფილიყო მოურავი ჯარების მთავარსარდალი, რამდენიმე სიტყვით შესაძლოა ასე ჩამოყალიბდეს. გიორგი სააკაძის ფიგურა მისსავე პერიოდის საზოგადოებაში განსხვავებულ აზრს იწვევდა, მისი ღალატისა და სპარსეთის სამსახურ-

[11] მეტიც მათი დუმილი შესაძლოა იმის მტკიცება იყოს, რომ მათ ეს საკითხი განსახილველ საკითხთა შორის არც კი აქვთ გამოტანილი.

ში ჩადგომის გამო (ეს საზოგადოებაში მის უნდობლობას იწვევდა). სწორედ ამიტომ იქმნებოდა საშიშროება, რომ რომელიმე თავადი ანდა ჯარის ნაწილი უარს იტყოდა მისი ხელმძღვანელობით ბრძოლაში მონაწილეობის მიღებაზე. ამ მოსაზრების საპასუხოდ შესაძლოა ითქვას, რომ ეს მათგან არასწორი და ქვეყნისთვის დამღუპველი საქციელი იქნებოდა და ეს აბსოლუტური სიმართლეა, მაგრამ ყოველივე მოცემულობას ვერ შეცვლიდა, თუკი ჯარისგან მისი მეორედი, ანდა მესამედი დარჩებოდა. ამიტომ კიდევ ერთხელ განვმეორდები, რომ მთავარსარდალი იყო და უნდა ყოფილიყო კიდეც თეიმურაზ მეფე და იმ შემთხვევაში, თუკი იმ პერიოდშიც გაჩნდებოდა აზრი, რომ სარდალი უნდა ყოფილიყო გიორგი სააკაძე, არავითარ შემთხვევაში არ უნდა ყოფილიყო, ნახსენები საფრთხეების თავიდან აცილების მიზნით.

დასკვნის სახით შესაძლოა ითქვას, რომ მართალია, არც ისე ხშირია ქართულ ისტორიოგრაფიაში ერთი პიროვნების როლის გაზვიადებით სხვა შეიძლება უფრო ღირსეული ადამიანის როლის დაკნინება და დამცრობა, მაგრამ თეიმურაზ მეფისა და გიორგი სააკაძის მაგალითი ერთ-ერთი მათგანია. ამ შემთხვევაში კი ადამიანი, რომლის პოლიტიკური როლის გაზვიადებით მეფის, თანაც მებრძოლი მეფის, თეიმურაზის, ფიგურა ემცრობა, გიორგი სააკაძეა, თბილისისა და დვალეთის მოურავი, სპარსული ლაშქრის თვალსაჩინო სარდალი და ოსმალეთის სამოხელეო აპარატის გამორჩეული წევრი. მისი ეს რეგალიები შესაძლოა მკითხველს თვალს სჭრიდეს და მის გამორჩეულობაზე აფიქრებდეს[12], მაგრამ ისტორიკოსმა მათში უნდა დაინახოს ის ქმედებები, რომლებმაც ამ პიროვნების წარმატება გამოიწვია, ორ დიდ იმპერიასა და პატარა ქართლის სამეფოში. სწორედ აღნიშნული რეგალიებით უნდა შეფასდეს მისი როლი საქართველოს ისტორიაში, კერძოდ, იყო ის მოღალატე თუ ქართველი ალკიბიადესი, როგორც მას უწოდებს გურამ ყორანაშვილი თავის ნაშრომში (ყორანაშვილი 2017).

გამოყენებული წყაროებისა და ლიტერატურის ნუსხა:

- **არჩილ მეორე 1937:** არჩილ მეორე, არჩილიანი ტომი II, რედაქტორი გ. ხარატიშვილი, საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის გამომცემლობა, თბილისი, 1937;
- **ბერძენიშვილი, ჯავახიშვილი... 1948:** ბერენიშვილი ნიკო, ჯავახიშვილი ივანე, ჯანაშია სიმონ, საქართველოს ისტორია,მესამე შესწორებული გამოცემა, სახელმწიფო გამომცემლობა, თბილისი, 1948;
- **გორგიჯანიძე 2022:** გორგიჯანიძე ფარსადან, საქართველოს ცხოვრება, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გიული ალასანიამ, საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2022;
- **იოსელიანი 1973:** იოსელიანი პლატონ, დიდი მოურავი გიორგი სააკაძის ცხოვრება,რუსულიდან თარგმნა გიორგი თარხნიშვილმა, მერანი, თბილისი, 1973;

[12] არ ვცდილობ უარვყო ის ფაქტი, რომ იგი ნამდვილად ძლიერი პოლიტიკოსი და სამხედრო იყო, რამეთუ ამ ფაქტის უარყოფა ნამდვილად არამეცნიერული ნაბიჯი იქნება.

- **მამისთვალაშვილი 2019:** მამისთსვალიშვილი ელდარ, ქართველი მეფეები, თეიმურაზ პირველი, პალიტრა L, თბილისი, 2019;
- **მელიქიშვილი 1990:** მელიქიშილი გიორგი, საქართველოს ისტორია (საკითხავი წიგნი), მეცნიერება, თბილისი, 1990;
- **მუსტაფა ნაიმა 1979:** მუსტაფა ნაიმა – ცნობები საქართველოსა და კავაკასიის შესახებ, თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და შენიშვნებით გამოსაცემად მოამზადა ნოდარ შენგელიამ, მეცნიერება, თბილისი, 1979;
- **ჟორდანია 1897:** ჟორდანია თედო, ქრონიკები II, კონსტანტინე ივანეს ძე მუხრანბატონის გამოცემა, სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობა, ტფილისი, 1897;
- **სანიკიძე 1988:** სანიკიძე ლევან, გიორგი სააკაძე, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 1988;
- **ტაბაღუა 1986:** ტაბაღუა ილია, საქართველო ვეროპის არქივებსა და წიგნთსაცავებში ტომი II, მეცნიერება, თბილისი, 1986;
- **ტფილელი 1851:** ტფილელი იოსებ, დიდი მოურავიანი,პლატონ იოსელიანის რედაქციით, წიგნთ საბეჭდავსა კავკასიის ნამესტნიკის კანცელარია, თფილისი, 1851;
- **ტფილელი 1939:** ტფილელი იოსებ, დიდმოურავიანი, გიორგი ლეონიძის რედაქციით, სახელგამი, თბილისი, 1939;
- **ქართლის ცხოვრება 1973:** ვახუშტი ბატონიშვილი: აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ, თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1973;
- **ღვინჯილია 1989:** ღვინჯილია ჯანსუღ, გიორგი სააკაძის პიროვნება, მერანი, თბილისი, 1989;
- **ყორანაშვილი 2017:** ყორანაშვილი გურამ, ავკარგიანობა გიორგი სააკაძისა, არტანუჯი, თბილისი, 2017;
- **ჩხეიძე 2012:** ჩხეიძე როსტომ, სიმართლე გიორგი სააკაძეზე, თბილისი, 2012;
- **ჯამბურია 1964:** ჯამბურია გივი, გიორგი სააკაძე, ნაკადული, თბილისი, 1964;
- **ჯამბურია 1973:** ჯამბურია გივი, საქართველოს ისტორიის ნარკვევების მეოთხე ტომი, თბილისი, საბჭოთა საქართველო, 1973.

Giorgi Barnabishvili
BA Program in History (Major) and Classical Philology (Minor)
Faculty of Humanities, TSU

ABOUT DIFFERENT OPINIONS OF GEORGIAN HISTORIOGRAPHY ABOUT TEIMURAZ I AND GIORGI SAAKADZE (ACCORDING TO A FEW MOMENTS OF THE RELATIONSHIP BETWEEN KING AND MOURAVI)(SUMMARY)

The article discusses the different opinions in Georgian historiography around the political portraits of Teimuraz I and Giorgi Saakadze and also discusses together with all the main scientific and scientific-popular literature, the sources, that Georgian historiography uses in different ways at different times. According to them, it is obvious that when discussing the main sections of the relationship between the defining and guiding personalities of these two political processes, Georgian historiography is on Mouravi's side and in the main cases relies only on those sources that require the greatest criticism. At this time, even foreign sources remain unexplored, which have always been special literature for clearly representing specific periods of Georgian history.

The specific sections that I focused on while writing the article were the following: 1. When did Giorgi Saakadze collaborate with King Teimuraz to jointly start the rebellion, 2. Who were the authors of specific tactics in the Battle of Marabda, as well as 3. Who should have been the commander of the Georgian army in the Battle of Marabda. It can be said that the work was an important attempt to revise Georgian historiography to understand the relationship between the king and Mouravi.